



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბექაური ვლადიმერ ივანეს ძე

ბექაური ვლადიმერ ივანეს ძე (27. XII. 1882, სოფ. კიტოხი, ახლანდ. დუშეთის მუნიციპ., – 8. II. 1938), გამოგონებელი, ორგანიზატორი.

1903 დაამთავრა თბილ. მიხეილის სახ. რკინიგზის ტექ. სასწავლებელი. 1905 ხაშურის საორთქლმავლო დეპოს გაფიცული მუშების სამხ. დახმარებისათვის იდევნებოდა პოლიციისაგან. 1907 საცხოვრებლად გადავიდა ციმბირში, შემდეგ კი – პეტერბურგში. ამ პერიოდს განეკუთვნება მისი მთელი რიგი გამოგონებები, მ. შ. აღსანიშნავია „რკინიგზის ტრანსპორტის ავტომატიზაცია და სიგნალიზაცია“, რ-ის პატენტი შეისყიდეს გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიასა და იაპონიაში. 1921 წ. 1 იანვარს ბ. სათავეში ჩაუდგა „ექსმანს“ („უახლეს გამოგონებათა ექსპერიმენტულ სახელოსნოს“), რ-იც მისი მონაწილეობით ჩამოყალიბდა. იმავე წლის 15 აგვისტოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა „ოსტებიურო“ („განსაკუთრებული ტექნიკური ბიურო“) ბ-ის ხელმძღვანელობით. ბიუროს სამუშაოთა თემატიკა ეხებოდა ნაღმების, ტორპედოების წარმოებას, წყალქვეშა ცურვას, კავშირგაბმულობას, საპარამუტო ტექნიკასა და სხვა დარგებს. აქ ამუშავებდნენ აგრეთვე რადიოსაშუალებებით მართულ ფუგასებს, კატარლებს, ტორპედოებს და სხვ.

ბ-მა გამოიგონა აპარატურა საპარატურო-სადესანტო ოპერაციათა ტექ. უზრუნველყოფისათვის. დიდი ღვაწლი მიუძღვის რადიოტექ., კავშირგაბმ., ელექტროტექ. და ჰიდროაკუსტიკის დარგებშიც, სადაც მისი პირადი ხელმძღვანელობით დამუშავდა არაერთი ორიგინ. კონსტრუქცია. მ. შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბემი. ბ-ის გამოგონებებს წარმატებით იყენებდნენ II მსოფლიო ომის დროს.

ბ. ეწეოდა ქველმოქმედებას. საკუთარი სახსრებით ააშენა ხაშურის რაიონული და სოფ. აღის საავადმყოფოები, დააკომპლექტა საზღვარგარეთული და სამამულო ინვენტარით. ეკონომიკურად ეხმარებოდა მოსკოვსა და ლენინგრადში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებს.

მიღებული აქვს სახელმწ. ჭილდოები.

რეპრესირებულია, სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებულია.

ლიტ.: გ ო გ ი ძ ე შ., გამოგონებელი ვლადიმერ ბექაური, თბ., 1968.

ი. ბექაური

გ. შოშკოვი
